

1906 22 მაისი 1916 წ.

ფასი 12 კპ.

რედაქციის ადრესი: თბილისი, თლას ქუჩა № 6.

მშვიდობა

იუმორისტი
ეურნალი

მათერალი

№ 21



მომზადე

ლადო დარჩიაშვილი

7 მისი, გერმანიში მოულოდნელად გამოეთა ნალისტი ლადო დარჩიაშვილი. სიკედილსა და უსიხოვა წუთისოფელს ჩვენში კარგათ ცნობილი ურ- ამოვნო ცნობას ძლიერ შეეწია, ჩვენი გული და

გონება, მაგრამ ლადო დარჩიაშვილის მოულოდნელად დაკარგვამ ბევრ გულში ჩამოჰკრა მწუხარე გლოვის ზარი და აგრძნობინა შიღი დანაკლისის მწვავე გრძნობა.

ლადო დაიბადა 1872 წელს სოფ. ანაგაში. პირველ დაწყებითი განათლება თელავის სასულიერო სასწავლებელში მიიღო, საიდანაც გადავიდა თფილისის სასულიერო სემინარიაში. „არა სამედო“ მოღვაწობისათვის ლადო სემინარიის მეექვსე კლასიდან დაითხოვეს.

საზოგადო ასპარეზზე ლადო პირველად ევნატე ნინოშვილის დაკრძალვაზე გამოჩნდა. აქ მან ვრცელი სიტყვა წარმოსთვეა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

1898 წელს ლადო საზღვარ-გარედ გაემგზავრა, სადაც დაჲყო 6 წელიწადი და დაბალოვებით 1904 წლის დამლექს სამშობლოში დაბრუნდა.

1905 წლიდან ის იყო ერთ-ერთი რედაქტორთაგან გაზ. „სხივის“ მემკვიდრე გამოცემებისა. მიუხედავათ იმისა, რომ ლადოსა და მის თანამშრომელ ამხანაგთა შორის უთანხმოება დაიბადა, (ნაციონალურ სკოითხში) ლადო არ გაქცეულა მოწინააღმდეგეთა ბანაში და არ ცდილა უთანხმოება თბილი ადგილის მოსაპოებელ საშუალებათ გამოეყნებია. ამას იგი ვერ იზამდა, ვინაიდან ლადო დარჩიაშვილი იდეას ემსახურებოდა და არა ოქროს. ეს მაგალითი ბევრისათვის არის საგულისხმიერო და მიბაძვის ღირსი.

თამარის აჩრდილი.

„ენ არ იცის რომ ეს გული მკვდარია,
რომ სიცილი ბევრჯელ ცრემლზედ მწარია“. აკაკი.

იმ დროს, როდესაც მთელი საქართველო, შვი ზღვიდან მოკიდებული კასპის ზღვამდე, დღე-სასწაულობრივ თამარის უკვდავ სახელს, მისი აჩრდილი ელვის სისწრავით მოჰქონდა. სამშობლო ქვეყნისკენ. სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში იგი მოუახლოვდა დიდებულ შესხეთს. მიხედ-მოიხედა, დაინახა საშინელი სურათი განადგურებისა: ცეცხლით გადამწვარი ველ-მინდორი, დანგრეული და აოხრებული სახლ-კარი. რუსთაველის სამშობლო გულსაკლავ სურათს წარმოადგენდა. ადამია-

ნის სსენება აღარსად იყო... ირგვლივ დაძრწოდენ მშიერი მგლები, რომელიც მფლობელობდენ უპატრონო შამულებს... აჩრდილშა ერთი მწარედ ამოიკვნესა და თფილისისკენ იბრუნა პირი...

საღამო უამი იქნებოდა. თამარის ბრწყინვალე სხივი თავს დაადგა მამა დავათის სწორედ იმ აღგიღს, სადაც ილია და აკაკი განისვენებენ. უეპრივ აჩრდილის წინ, თითქმ მიწიდან ამოძვრაო, ვიღაც უცნობი გამოიჭიმა დღინჯით.

— „არ შეიძლება გავიგოთ თქვენი ვინაობა?“ — შეეკითხა იგი აჩრდილს.

— „თამარ მეფის აჩრდილი“ — გაისმა საპასუხოდ იღუმალი ხმა.

— „საკვირველია, ჩაილაპარავა უცნობმა, რაღა სწორედ პირველ მისობას მოგინდათ საქართველოსკენ გამომგზავრება. ეს დღე ცოტა სახიფათო დღეა. არ შემიძლიან გავიშვათ!“

ის იყო უცნობი თამარის აჩრდილის დაჭერას აპირებდა, მაგრამ შეახო თუ არა ხელი, შეისვე შეახმა იგი.

აჩრდილი მთაწმინდილან დაბლა დაეშვა. გაიგო თუ არა ქართველმა საზოგადოებამ ეს ამბავი, ელვის სისწრაფით შეიკრიბა იგი ერთ დაბაზში და იქნია თაბირი იმის შესახებ, თუ როგორ შეხედებ ამ მოულოდნელ ამბავს. ხანგრძლივი თათბირის შემდეგ კრებამ ერთხმად გადასწყილდა: აირა ჩიოს თამარის აჩრდილის დასხვედრად 55 კომისია და 40 კომიტეტი, გაიმართოს 150 ლექცია, (თოთო ლექცია უნდა გაგრძელდეს არა ნაკლებ 9 საათისა), მოეწყოს 20 ლილა, 25 საღამო და 15 კონცერტი ცოცხალი სურათებით.

მეორე დღეს მთელ ქართველ საზოგადოებას თავი მოეყარა სადღესასწაულოდ ახალ კლუბში, სადაც თამარის აჩრდილიც სუ მიწვეული. საღამოს 9 ს. ფარდა ახადა და სცენაზე გამოჩნდა ჩევნი გამოხენილი ისტორიკისი სარგის კაკაძე. ცვერდით დაუდგეს მას ორი ჩაფი უბრალო წყალი და თი ბოთლი ლალიძისა. ფეხ-ქვეშ „კავკაზესკ-სლოვე“ გაუფინეს.

— „ბამ! — დაწყო თავისი ლექცია სარგის კაკაძაძემ, — თუმცა ისტორიკოსები ამბობენ, რომ დიდი თამარი სცენერობდა შე-12 საუკუნეში, მაგრამ ჩემის აზრით ეს სინამდვილეს არ შეეფრება. მე ვამტკიცებ, რომ თამარ-მეფე ჩამოშავლობით აფხაზი ქალი იყო და წარსულ ე. ი. შე-19 საუკუ-

ნის მიშურულებში ცხოვრობდა". თამარის არჩილი კურს უგდებდა ახალგაზრდა მეცნიერის სიტყვებს და ნაღვლიანად გამოიყერებოდა. ერთმა დამსწრეთაგანმა შეამნია თამარის მოწყენილობა და თვალით ანიშნა ლექტორს გაეთავებინა ლაპარაკი. ლექტორი მარე სცენიდან გავიდა და იღარ შემოსულა.

რავდენიმე წუთის შემდეგ სცენაზე გამოვიდა ცნობილ ლოტბარ მიხეილ კაცაძის გუნდი, ქულაჯებში გამოწყობილი და შემოსახა „თბერიონე“ და „ცანგალა გოგონა“. მსმენელები დიდ ოლტაცებაში მოვიდენ, ხოლო თამარის აჩრდილი ქანდაკებასავით უძრავად იდგა. მარე სცენაზე გამოჩნდა ახალგაზრდა მგოსანთა ლაშქარი და დაიწყო ლექსების კითხვა. წაკითხულ იქმნა დაახლოვებით 2000 ლექსი. თამარის აჩრდილმა ველარ გაუძლო მათ ჰიეტურ ნიჭს და უეცრივ გაპერა. საზოგადოება-კინაში მშრალი დარჩა...

დოლის 9 საათი იქნებოდა. „ზაფავაზეკანა რეჩა-ის რედაქციაში დიდი ფაცა-ფუცი“ იყო. ბ-ნი „გრუზინი“ სიტყვას მზადებდა თამარის დასახვედრათ. აგრე გამოჩნდა თამარის აჩრდილიც. ბ-მა გრუზინმა „გალსტუკი“ გაისწორა და დაიწყო: „Здравствуй пожалуиста Ваше Сиятельство! хотя мы родной языку забили, но, какъ патріоти, мы тѣрѣ оченъ любимъ!“.

თამარის აჩრდილი სახტად დარჩა. იმის ზეციურ შუბლზე თითქოს აღიბეჭდა შემდეგი სიტყვები: იმ მხეთ კი დაეცა თქვენისთნა პატრიოტებსათ. სამ-შობლო ენა დაგივიწყებიათ და ვერც სხვისი შეგითვასებიათო. ბ-მა „გრუზინმა“ თითქოს იგრძნო ეს საყვედლური და დალონდა. ღაღონდა თამარის აჩრდილიც. ტყუილიდ ცდილობდა „საშა ჩორნი“ მის გამხიარულებას. თამარის აჩრდილმა მათ ყურადღება აღარ მიაქცია და განშორდა.

სხვათა შორის აჩრდილმა ძველი მეტების ციხის ახლო გაიარა. მილოვსა და აღელხანოვს გამოელოთ ციხის ფანჯრები და ზედ მაუდები გადმოეკიდათ. ისე საცოდავათ დაღრეჯილიყვნებ, თითქოს თამარის აჩრდილს პროტექციას სოხოვენი. შემდეგში გამოირკვა, რომ ზამოდ აღნიშნულნი პირნი პეტრეპავლეს ციხეში გადაყვანას თხოულობდნენ, სადაც ამ უამად სააგრაკოდ დაბინავებულია ექს-მინისტრი ბ-ნი სუხომლინვი. აჩრდილმა მათ ყურადღება არც კი მიაქცია და ჩიარა.

თვითმართველობის ახლო ახლო მას ელოდა ქალაქის თავი, ყარაბაღულად გამოწყობილი შექრის თავებით და ფევილის ტომრებით ხელში. დაინახა თუ არა თამარის აჩრდილი, ბ-მა ხატისოვმა დაიწყო. კარგად გალოობდა თბილისელი ოქროპირი, მაგრამ თამარის აჩრდილმა მისი სიტყვისა ვერა გაიგო რა და უგრძნობლად იდგა. საიდანლაც იყო განჩნდა ყოვლად სამღვდელო პართენ გოთუა და მოწიწებით სოხოვა თამარის აჩრდილს, დიღუბის ეკლესია დაეთვალიერებია. თქვენ, ბ-მა, უეპველია მოგეხსენებათ, რომ თამარ მეფემ დიღუბეში იქორწილა. დიღის სიამოვნებით დათანხმდა თამარი პართენ გოთუას წინადადებას და გაემგზავრა და დიღუბისკენ. ეკლესიაში წირვაზე იდგენ. აჩრდილი შევიდა. მღვდელმა რუსულად ჩააგუვუნა კვერეესი. აჩრდილი ცდილობდა პირვერი გამოესახა, მაგრამ ამაღდ. ხელები მას თითქოს არ ემორჩილებოდენ. უტეს მარმალილოსაებ იდგა იგი და დალონებული შეცყურებდა ღვთის მშობლის ხატას. ჯერ წირვა არ გათავებულიყო, რომ თამარის აჩრდილი გამოვიდა გარეთ, უკანასკნელად მიმოავლო თვალებით თბილის მიდამოებს, ჩააქნია მწარედ ხელი და გაემგზავრა საქართველოს სხვა კუთხეების სანახავად.

ლახტი.

(დასასრული ჭუმლებ)



პასაუირი.

ლერუა.

(თარგმანი)

რკინის გზის კასის ვიწრო ფანჯარას მიადგა ვინმე ორას ფანსურლე, ყოფილი ვაქარი, წევრი ლაშმინისა და K^o ფირმისა. ის 50 წლისა, საშუალო ტანის და ჩასუქებული კაცია. პირველ ხანს განზრახული ჰქონდა ფანჯრის უკან მჯდომ მოხელისათვის მოკრძალებით ქული მოეხადა, მაგრამ შემდეგ გადაფიქრა და ქული აღარ მოუხდია.

— მითხარით, გეთაყვა... მე მსურს ბულონში წასვლა, ცოლმა მომწერა ამ დილით წერილი და მეც... ის სტუმრად არის თავის დედასთან და მეც... რომელი მატარებელით აჯობებს ჩემი გამზადება ხვალ დილით?

— ბულონისაკენ? ფოსტის მატარებელი გადის დილის 6 საათზე; სწრაფი მატარებელი 7 საათსა და 35 წუთზე; სახალხო პირველი 10 საათზე, მეორე 11 საათსა და 45 წუთზე.

— სხვა მატარებელები არ არის?

— დილით აღარა.

— რა დროს ვიქნები ბულონში 10 საათსა და 35 წუთზე რომ გავიდე?

— 10 საათსა და 35 წუთზე მატარებელი არ არის.

— აკი თქვენ ამ წამში მითხარით.

— სწრაფი მატარებელი გადის 7 საათსა და

35 წუთზე, სამგზავრო კი ათ საათზე.

— მე კი ცხადათ გავიგონე, როცა თქვენ მითხარით 10 საათსა და 35 წუთზეთ. თუ თქვენ თითონ ირ იცით მატარებელთა მიმოსელა...

— შეიძლება... მე შევცდი. უმჯობესია იქ კედელზე გაქრულია მოძრაობის წეს-რიგი და თითონ გასინჯოთ.

— თითონ გავსინჯო? რას გავსინჯავ მე იქ! განა მე რკინის გზის მოხელე ვარ, რომ რამე გაუგო იმ ათას გვარ ციფრებსა და წალმაუკულმა დასერილ ხანებს! მეტყვით თუ არა დაბოლოს, როდის ვიქნები ბულონში თუ იქედან გავალ... როდის გადისო? როგორ მითხარით წელან?

— 7 საათსა და 35 წუთზე.

— ეს ჩემთვის ძლიერ აღრეა, მაგრამ რას

იზამ, თუ სხვაფრივ არ შეიძლება, ამ დროს წავალ. რა დროს ვიქნები ბულონში?

— 12 საათსა და 15 წუთზე.

12 საათსა და 15 წუთზე.. ჩინებულია. ახლა კეთილ ინტერ და მიბრძანეთ: — მე თან მიმყავს ჩემი მსახური ქალი... არის ამ მატარებელზე მე სამე კლასის ვაგონები? მე რასაკვირველია მეორე კლასით წავალ, მაგრამ მსახური...

— არა, ბატონო, ეს სწრაფი მატარებელია, მარტო პირველი და მეორე კლასის ვაგონები და-დის.

— სულ ადვილათ შეიძლებოდა ერთი მესამე კლასის ვაგონის გამობმაც. მე მესმის, რომ ვისაც ამისი საშუალება არა აქვს, აუც უნდა მიადგეს სწრაფ მატარებელს, მაგრამ არის განსაკუთრებული მდგომარეობაც, როგორიც მაგალითად ჩემი გარე მოებაა.

— მოწყალეო ხელმწიფევ, მე...

— მოითმინეთ, მოითმინეთ. ნება მიბოძეთ ერთი შეცითხვა კიდევ მოგახსენოთ, მე ხომ ვიხდი ბილეთის ფასს?

— რასაკვირველია, მაგრამ... მე...

— მაშ ეგრეთ საქმე? ღირიბ-ღატაკი, რომელ-საც მარტო მესამე კლასის ბილეთი შეღწლია იყო დოს, უნდა კუს ნაბიჯით ეთრიოს იმ მატარებელში? სწორეთ სასიამოვნო წევებია, რაღა ლაპარაკი უნდა.

— ღმერთო ჩემო, ეს ეგრეა, მაგრამ მე რა შვაში ვარ!

— ოო, ეგ მე მესმის! თქვენ არც გაკისრებთ პასუხის მგებლობას. თქვენ თითონ ჩაგრებით და არავითარი დანაშაული არ მიგიძლვით იმ უწევსრი-გობაში. თქვენ თითონ დამოკიდებული ხართ სხვათაგან და კილევაც რომ მოისურეოთ ვერაფერს გააწყობთ. მე კი, ბატონო ჩემო, სრულიად და-მოუკიდებელი გახლავარ და უქებზე მკიდია მოე-ლი ქვეყანა, გესმისთ, მთელი ქვეყანა. ეს პირდა-პირ საიზტორობა, პირდაპირ საძაგლობა. სისულე-ლეც არის მე და ჩემმა ღმერთმა. მესამე კლასი არ უნდა დადიოდეს ისეთი სისტრაფით, როგორითაც პირველი და თუ მესამე კლასთან პირველიც მოხვდა მატარებელში, მაშინ პირველიც მესამესავით ჩონგით უნდა წავიდეს, ხომ არ ინგებოთ იმ გაუ-გებრობის განმარტებას, მოწყალეო ხელმწიფევ?

— მე აქ იმისთვის არ გახლავარ, რომ ამგვარი განმარტებები გაძლიოთ.

— კი მაგრამ თქვენ ამისთვის ფულები გეძლებათ. ჩინებულია სწორეთ! მეტყველ თუ არა როდის გადის მატარებელი მესამე კლასითურთ?

— ათ საათზე.

— რა ღროს მიდის იქ?

— 5 საათსა და ათ წუთზე.

— როდის?

— 5 საათსა და ათ წუთზე.

— კარგი, კარგი. მე ყრუ როდი ვარ. მაში იქ ვიქნები 10 საათსა და ხუთ წუთზე. ხომ ასე ამბობთ?

— არა, 5 საათსა და 10 წუთზე.

— ეს ჩემთვის ძლიერ გვან არის. სადილი რომ მომინდეს ბულონში? ცოლიც მიმელის იქ. ეს მართლაც მოუხერხებელია. მაში რა უნდა ვჭნა... განა არის მატარებელი, რომელიც უფრო ადრე მივა ბულონში?

— არის. საფოსტო მატარებელი. მესამე კლასის ვაგონით. გადის აქედან დილის 6 საათზე.

— ეს ჩემთვის ძლიერ ადრეა. ჩემთვის უფრო მოხერხებული იქნებოდა რვა საათის მატარებელი.

— თუ ასე წაბრანდით სწრაფი მატარებელით დილის 7 საათსა და 25 წუთზე.

— მართალი უნდა გითხრია, სწორეთ გასაოცარი რკინის გზის აღმინისტრაცია გვყავს. მინდა თუ არა მე უნდა ვიმებზავრო იმ მატარებლით, რომელსაც ის მინიშნავს, ან არა და უარი ვსთქვა ჩემს ოჯახში ტებილათ საღილის მირთმევაზე. ცხადია, თუ სწრაფი მატარებელით არ წავალ, ბულონში საღილს ვერ მიუსწრებ. ეს პირდაპირ იუტანელია! რა ლირს მეორე კლასის ბილეთი?

— 31 ფრანკი და 25 სანტიმი.

— მესამე კლასის?

— 17 ფრანკი და 20 სანტიმი.

— სხვა მატარებელი არ არის?

— რასაკვირველია არის. ნაშუადლევს 1 საათსა და 40 წუთზე, 4 საათზე; 6 საათსა და 10 წუთზე. სალამის 8 საათზე; 11 საათსა 45 წუთზე.

— მართლა? მაში რატომ წელან არ მითხარით?

— თქვენ ხომ დილის მატარებლები იყითხეთ.

— დილის, შუადლის, საღამის მატარებელი, ეს ჩემთვის სულ ერთია. როგორმე კი მივაღწიო და რომელ საათზე...

— მოწყალეო ხელმწიფევ, იძულებული ვარ გთხოვოთ, რომ დაადგეთ ერთ გადაწყვეტილებას. ხომ ხედავთ სხვებიც ელოდებიან...

— მეც იძულებული ვარ გთხოვოთ, რომ ჩემთან მეტი ზოდილობა იხსაროთ. თქვენ აქ იმის თვის დგეხართ, რომ მსურველს განმარტება აძლიოთ. ნუ თუ თქვენა გგონიათ, რომ ჩემთვის დიდი სიამონებას შეადგენს საათობით თქვენთან საუბარი?

— ბატონო ჩემი, განმეორებით გთხოვთ...

— აჟა! მაში ეგრეთ საქმე?.. კარგი, კარგი, მოწყალეო ხელმწიფევ, მე აღვნიშნავ საჩივრის წიგნში თქვენს... მე... დიახ, ეს ურიგო არ იქნებოდა! იცით კი ვის ელაპარაკებით? ჩემი სახელია ორასი, მოწყალეო ხელმწიფევ, ორას ფანსურლე, მე უდიდესი სავაჭრო სახლის გამგე ვიყავი და თუ ჩემი მსახური მყიდველთან ასეთ უდიერ ლაპარაკს გაჰვედავდა...

კასირი (მიმართავს ქალს, რომელიც ორასს უკან სდგას) თქვენ რას ინებებთ, ქალბატონნო?

ორასი. მაში თქვენ არა გსურთ პასუხი გამცემ, ბატონო კასირი?

ქალი. (მიმართავს) მე მიბოძეთ... (მიმართავს ორასს) ნება მიბოძეთ ცოტა წინ წაყიში, მოწყალეო ხელმწიფევ.

არასი. ამაღდ შეეცდებით, ქალბატონნო! ეს ვაჟაბატონი პასუხს არ აძლევს ზრდილობან კითხებზე. მთელი საათია ველაპარაკები და ერთი სიტყვაც ვერ გამოვსტუუ.

კასირი. გთხოვთ უმორჩილესად, ქალბატონს გზა მისცეთ.

ორას. მაში რა მოხელე ხართ აქ, თუ საქმის არაიური გაგევებათ?

ქალი. გთხოვთ ნება ვეიბოძოთ...

ორას. ჯამაგირის მიღებაზე ეს ვაჟბატონები ყოჩაღები არიან. ფრჩხილების წმენდა, გაზეთების კარიტი, ესეც მთი საქმეა, ხოლო რაიმე ცნობის მიღებას მათგან ტყვილად ნუ ელით.

კასირი. მოწყალეო ხელმწიფევ!!!

ორას. რაოგ შეურაცხყოფასაც მაყუნებთ? ნუ-რას უკაცრავათ, თუ ამისი ნება არ მოგცეთ... მე...

კასირი კეტავს პატარა ფანჯარას.

ორას (მიმართავს ქალბატონს) ერთი შეხედეთ ამათ თავაზიანობას! ოოო, ეს რკინის გზის მოხელეები!! მთელი საათია, სრული საათი, კსულილობ

გამოვსტუურ ამ ვაჟბატონს, რომელიც აი აქ, ამ ფანჯარისთან ზის, ცნობა, თუ როდის მიღის მატა-რებელი ბულონში; თქვენ იქნება ფიქრობთ, რომ მაღირსა მან რაიმე პასუხი? სრულიადაც არა. ის მხოლოდ მასულელებს ამდენი ხანია, ეს მუქთა ხორა და უსაქმური ვაჟბატონი. მე წავალ ბულონ-ში, ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდეს ეს... ეს... ეს „ვაჟბატონი“ და საჩივარსაც მისი უღირსი საქ-მის შესახებ უთუოდ აღვსძრავ.

ამ ბუზღუნით და მუქარით მოშორდა ორასი დახურულ ფანჯარას ბილეთის კასისას.

მიეფარა თუ არა თვალიდან ორასი, კასირმა კვლავ გააღო ფანჯადა და განაგრძო თავისი საქმე. მხოლოდ ხანდისხან მიმოავლებდა დარბაზს შეში-ნებულ თვალებს: ხომ არსად მოსჩანს ორას ფან-სურლეო.

წურბელა.

ვ ა!!

ქვეყანა სულ უკუღლია ტრიილებს უფლის სა-ხის გადლმა! განა ამას ვიფიქრებდი, რომ ფრანცუ-ცები ესეთ ვაჟეაცობას გამაიჩნდენ გამიგონია, რომ მოდები და კაფალრობა იმათი მოგონილიათ, მაგრამ თუ ასე ყარისხლულათ ჩაერეოდენ ჩხუბში, ეს კი არ მეგონა! ჰერდამ იმ ვერდენთან, როგორ სუმა-შეჩი მოზერებივით დატრიილდენ! ვაა, მთელი ქვე-ყანა უდივლენიაში ჩაგდეს რალა!

მართალია ამობენ: ლემენცებმა რაღაც გო-რაკების კალთები ჩამააგლიჯეს, მაგრამ არა მეო-ნია! თუნდაც რომ ჩამააგლიჯონ, რა ცუკოთ მერე. საქმე ის არის საესე რომ ჩაიგდონ ხელში, თო-რებ ერთი მტკაველა მიწა გონდ იქით ყოფილა, გინდ აქეთ. ჩემ დედაყაცხ, ბარიშნობისას რომ ვე-არშიყებოდი, ჭიდაობაში და ბლლაძუნში რამდენ-ჯერ შემოვახიე კაბის კუდი, მაგრამ სანამ საესემათ არ დამარინო და არ დამხრუკ კაცი, მანამ არა გა-მოღნა რა. მერე კი ვიგდე ხელში, მაგრამ რაღა დროს! ეს მე კი დამხრაკა ურონიკზე, თუ რომე ქნინ მქნინდა ამართვა და მერე როცა არშიყების

შნო და ლაზათო დამეკარგა, მაშინ ჩამივარდა ხე-ლში.

ამ ლემენცებსაც ტოჭი-ტოჭ ასე მოსდით რა-ღა! შაიძლება კიდევაც აილონ ის ვერდენი, მაგ-

რამ როცა ჩემსავით დადნებიან და ცხვირის დაცე-მინების შნო აღარ ექნებათ, რა ყრია მაშინ! მა-ლადეც ფრანცუცებო, ეი ბოლოუ! ტილეგრამაში რომ ვკითხულოთ იმათ ამბავს, ჩვენი ქალაქის ბი-კები მაგონდება რაღა, ისე უდევიტელნათ ჩხუბო-ბენ! მაღლობა ღმერთის, რომ ისინი მაინც მოღიან იმ ლემენცების ოხტში, თორემ ღამის არის გადა-გყვლათონ რაღა! ხან და ხან ისეთ ჯავრზე მოვდი-ვარ, რომ ვგიფლები, ქრისტეს მადლმა. განა რა გახ-ლა კაცო, ეს ლემენცები!

იმ დღეს, ვდგვევარ და ვფიქრობ: ერთი იმ ვაინში მქნა, რომ იმ ტოლსტოპუზზა * ლემენცებს კისრის ძარღვების ვასპალენია გაუჩინო შეთქი. ფიქრმა ისე გამიტაცა, რომ თითქოს ვაინშიცა ვარ და ნაურაზე შივდივარ. ივალებს ვაბრიალებ და ეს-ეს არის უნდა გაღავერიოთ ჩხუბში მაისის ბუღასავით, რომ ამ დროს რაღაცა გამეხაუნა. ვი-ფიქრე ნამდვილათ ლემენცი დამეტაცა მეოქი, და ყსტაცე ქეხოში ხელი. ავიღე და ისეთნაირად და ვანარცხე მიწაზედ, რომ თერთმეტი ნეკნის ძალი შაბბივით გადაუმტვრიო. ყვირის: „მიშველეთ, მიშ-ველეთ, მოვკვდი ადამიანო“. უცევ გამოვფხილ-დი იმ ყვირილზე და ერთიც ვნახოთ, ჩემ შეუშანი-კას აუცშეკა ფქნი და ღრაალებს. ვიფიქრე ნამ-დვილათ მუცელი სტკივა მეთქი და მამენტალნათ აკუშერეკა მოვარბენინე. აკუშერეკამ გადაბრუნ-გადმოაბრუნა ასტაროენათ, უსფა ხელი ზევით, ქვე-ვით, მაგრამ ვერა გაიგო რა! როდის როდის შუ-შანიკში ძლიერ ამილულლუდა:

— „შე უდმერთოვ, ვვერდები დამამტერი და აკუშერეკა რას მიშველისიც“. ვი ვიბლავლე დასაუ-ლავი ხარივით, მაგრამ რაღას უშველილი. თურქე იმ დუმიტში რომ ვიყავ და ვიღაც გამეხაუნა, ჩე-მი შეუშანიკა გამარშიყებია და მეკი კოშტი მარი-ლივით დავნაყე ის საწყალი აი, დოხტერები, აი გლივინი ხირურგები და ძლიერ გადავარჩინე სიკე-დილს უბედური შეუშანა. დღესაც სულ წამლების და კაპლების პარში იხარშება საწყალი. ეს სულ იმ ლემენცებმა მიყვეს, მაგრამ ირც იმათ შარჩებათ. მაშ ბეშეზარი ვიყო, თუ ჩემი ოინისთვის პალხა-დიაში პასუხი არ გავსცე, დამაცადონ!..

გოგია.

დამფუძნებელი კრება

აშიურ ქავებასთავს მომხმარებელ ქორპუსა ტაურ დაწესებულებათა გაფშირისა.

14—15 მაისი, 1916 წ.

ჩემი პატარა ლექცია კოოპერაციის.

ბატონებო! ბოლიშს ვიხდი, რომ დრო და შურნალის ვიწრო ფარგალი ფრთებს აკვეცს ჩემს დაუშრეტელ სურვილს, ფართედ გადავშალო თქვენს წინაშე და ყოველმხრივათ გავაშუქო ის დიდებული საკითხი, რომლის შესახებაც მრავალი ილაპარაკება და იწერება ჩენს პერიოდულ უურნალგაზეთებში, და რომელიც, თამამათ შემიძლია ვსოდება, ღირსია ყოველმხრივი, ძირდამდგარი, საფუძვლიანი გარკვევის, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, დრო და შურნალის ვიწრო ფარგალი ფრთებს აკვეცს ჩემს დაუშრეტელ სურვილს ფართედ გადავშალო თქვენს წინაშე და ყოველმხრივათ გავაშუქო ის დიდებული საკითხი, რომლის შესახებაც მრავალი ილაპარაკება და იწერება ჩენს პერიოდულ უურნალ-გაზეთებში და რომელიც თამამად შემიძლია ვსოდება ღირსია ყოველმხრივი, ძირდამდგარი, საფუძვლიანი გარკვევისა და გათვალისწინებისა, რადგანაც ჩენი ცხოვრება მასზე დიდ იმედებს, ამყარებს და ეს იმედები ასე, თუ ისე შეიძლება ზოგან გადაპარებებულიც იყოს, ზოგან გადმოჭარბებული, მაგრამ ჩემდა საუბედუროთ, ეს ცვე მოვისხენ ზემოთ, მცირე დრო და შურნალის ვიწრო ფარგალი ფრთებს აკვეცს ჩემს დაუშრეტელ სურვილს ფართედ გადავშალო თქვენს წინაშე და ყოველმხრივად გავაშუქო ის დიდებული საკითხი, რომლის შესახებაც მრავალი ილაპარაკება და მით უმეტეს იწერება ჩენს პაროდიულ უურნალ-გზეთებში და რომელიც თამამად შემიძლია ესოდება ღირსია ყოველმხრივი ძირდამდგარი, საფუძვლიანი გარკვევისა და გათვალისწინების, რადგანაც ჩენი ცხოვრება მასზე დიდ იმედებს ამყარებს და ეს იმედები ასე, თუ ისე, შეიძლება ზოგან გადაპარებებულიც იყოს, ზოგან გადმოჭარბებული, მაგრამ ჩემდა საუბედუროთ, ეს ცვე მოვისხენ ზემოთ, მცირე დრო და შურნალის ვიწრო ფარგალი ფრთებს აკვეცს ჩემს დაუშრეტელ სურვილს ფართედ გადავშალო თქვენს წინაშე და ყოველმხრივად გავაშუქო ის დიდებული საკითხი, რომლის შესახებაც მრავალი ილაპარაკება და მით უმეტეს იწერება ჩენს პაროდიულ უურნალ-გზეთებში და რომელიც თამამად შემიძლია ესოდება ღირსია ყოველმხრივი ძირდამდგარი, საფუძვლიანი გარკვევისა და გათვალისწინების, რადგანაც ჩენი ცხოვრება მასზე დიდ იმედებს ამყარებს და ეს იმედები ასე, თუ ისე, შეიძლება ზოგან გადმოჭარბებულიც იყოს და მის რიგით გაშუქებას თქმა არ უნდა შესაფერი სარგებლობის მოტანა შეეძლება და მეტ სწორეთ ეს კეთილი განზრახვა მამოქმე-

დებს, მაგრამ ჩემდა საუბედუროთ დროს უქონლობა და უურნალის ვიწრო ფარგალი...

ხემბი: საგანზე ილაპარაკეთ, საგანზე.

.. სიმოვნებით. მე არც მქონია განზრახვა სხვა რამეც მელაპარაკა. ჩემი დაუშრეტელი სურვილი, სწორეთ ის არის, ჯეროვნათ გავაშუქო საგანი ჩემი ლექციისა, მაგრამ, ჩემდა სავალალოდ, დროს სიმურე და უურნალის ვიწრო ფარგლები ფრთებს აკვეცს ჩემს განუსაზღვრელ სურვილს ფართედ გადავშალო...

(თავხედი ხემბი: კმარა, კმარა...)

.. ბატონებო, შეიძლება არც თუ კმაროდეს, მაგრამ სამშუხაროდ უნდა ვიკმაროთ, ვინაიდან ჩენდა საუბედუროთ დროთა უქონლობა და უურნალის ვიწრო ფარგალი ფრთებს აკვეცს ჩემს დაუსრულებელ სურვილს ფართედ გადავშალო თქვენს წინაშე და ყოველმხრივად გავაშუქო ის დიდებული...

(ხემბი: გვაკმარეთ, გვაკმარეთ...)

.. ბატონებო! იქონიეთ მოთმინება. მე თითონ არა მსურს უბრალოთ დავკარგო ის ძეირფასი მცირე დრო და შურნალის ვიწრო ფარგალი, რომელიც ეგზო აკვეცს ფრთებს ჩემს დაუშრეტელ სურვილს ფართედ გადავშალო თქვენს წინაშე და ყოველმხრივად გავაშუქო ის დიდებული საკითხი, რომლის შესახებაც არ გვითხოვთ, რომლის ვიწრო ფარგალი ფრთებს აკვეცს ჩემს დაუშრეტელ სურვილს ფართედ გადავშალო თქვენს წინაშე და ყოველმხრივად გავაშუქო ის დიდებული საკითხი, რომლის შესახებაც არ გვითხოვთ...

(ხემბი... ძირს, ძირს... მოგვშორდი დავიდან...)

.. საიდამოვნოა, ბატონებო, რომ თქვენ ასეთის სისწორით აფასებთ დროს დიდ მნიშვნელობას, ვინაიდან თვით ინგლისელები, კოოპერაციის მათა-მთავარნი, ამბობენ. „დრო ფულიათ“, დანუ თუ გამეტყუნება, რომ სწორეთ იმ დროს სიმურემ და უურნალის ვიწრო ფმრგლებმა ფრთები შეაკვეცონ ჩემს დაუშრეტელს სურვილს...

(ხემბი... ჩენ მიყდიართ)

.. ბატონებო, ბატონებო...

—
კ რ ე ბ ა .

იმ მცირე ლექციის შემდეგ, რომელიც მე წიუმძღვარე ამ წერილს, შესახებ კოოპერაციისა და და რომელმაც შესაფერი თანაგრძნობა გამოიწვაა, ვალიად ვრაც ჩემს თავს გადავიდე კრების აღწერაზე, მაგრამ, ვიდრე საქმეს ფაქტიურათ შევხე-

ბოდე, წესრიგისათვის ვითხოვ ორიოდ წუთს ყურადღებისას.

ბატონებო! ქართული ანდაზა მჭევრ მეტყველურად ამბობს: „გაქივრებამ დელოფალთან დამაწვენიან“ და ვინც ამ ანდაზის შინაარს ღირსეულად ჩასწევდება, ის უეკველია ჩემს მდგომარეობის შევა. საქმე ჩემს საბედისწერო მხატვრობას შეეხება. მას შემდეგ, რაც „ქართველ ხელოვანთა საზოგადოება“ დაარსდა პატივცემულ ფინანსისტ

გ. ურულის თავმჯდომარეობით, მე გაასკეცებული ენერგიით ვცდილობ ღირსეული წევრი შევიქნება ამ საზოგადოებისა. მოგეხსენებათ ისიც, რომ საზოგადოება სულ რაღაც ორიოდ თვევა რაც არსებობს და თუ შეადარებთ თქვენ ჩემს გასული წლის მხატვრობას (წ. კ. გ. ს. კრებები) ამ წერილში დართულ სურათებთან, დარწმუნებული ვარ წინ მსვლელობისა და შრომის კვალს შენიშნავთ. მიუხედავათ ამისა, მე სრულიადაც არ მაკაყოფილებს ჩემ მიერ დაწერილი სახეები და ვითხოვ მათგან შეცოდებათა პატივებს და თანაგრძნობას. საჯველათ ისიც მეყოფა, რაც მათზე მწარეობელი დავდავარე და ნუ ინებებენ ოფლს მწუხარების ცრემლიც დავუმატო.

დამფუძნებელი კრების სხდომები დაიწყო 14 მაისს დილის 11 საათზე. კრებამ ერთხმად აირჩიო თავმჯდომარეობა. წარმომადგენელი „თფილისის კოოპერატივისა“ ნიკო ზ. ელიავა.



ნიკო ზ. ელიავა.

შემცდარი იქნება, ვინც იუიქრებს, თითქო აქ გამოხატული სურათი ბ. ნ. ელიავის სრული გამომხატველი იყოს ორიგინალისა. საქმე იმაშია,

რომ, ჩვენი სურათი იხატება შავი ტუშით, იბეჭდება შავი სალებავით, როცა ნატურჩიკს აქვს წაბლისფერი წვერი და დაბლა დაშვებული ულვაში. გარდა ამისა სურათზე ძნელი გადმოსატანია ბოხი ხმა ორატორისა და მისი აუღელვებელი ხასიათი.

თავმჯდომარებისთან ერთად დასახელებულ და ამორჩეულ იქმნებ მისი თანაშემწერი: მარჯვენა მხრით ბ-ნი პ. გელეიშვილი და მარცხნივ ბ-ნი მხჩიანცი.



პ. გელეიშვილი.

აშეარაა, ეგ ის პ. გელეიშვილი უნდა იყოს, რომლის „შესახებაც ძლიერ უყვარს პატივცემულ „სახალხო ფურცელს“ სადესტრტო ცნობების მიწოდება მკითხველებისათვის. როგორც ავტორიტეტებმა მითხრეს მისი გამოცნობა ამ სურათის შემწეობით შეიძლება მხოლოდ ერთ შემთხვევაში, სახელდობრ, თუ ეწერება ქვეშ „პ. გელეიშვილი“. შეიძლება ეს მართლაც ასეა; მკითხველებმა განსაჯონ.



ბ-ნი მხჩიანცი.

მე პირველად ვიხილე პატიცემული ამხანაგი თავშვდამარისა ამ კრებაზე. ვფიქრობ სურათი უნდა გამოხატავდეს ორიგინალს, დაახლოვებით მაინც. ბ-ნი მხჩიანი ჩინქბული მცოდნე უნდა იყოს სომხური ენისა, ვინაიდან ძლიერ ჩქარა და ღამაზათ ლაპარაკობდა. გარეგნული მოხაზულობა ნათელ ყოფს მის აუდელვებელ ხასიათს, რაიც ეგზომ საჭიროა ისეთ კრებებზე, რომელსაც დათიკო ხართიშვილი ესწრება.

მდივნებათ არჩეულ იქმნა 4 კაცი, რომელთაგან ერთი, სამწუხაროდ ჩვენდა გამომრჩა, ვინაიდან იმ კრებას, რომელზედაც აღფრთოვანებულის გრძნობით მივედი, ის არ დასწრებია. დანარჩენ სამს აქვე წარმოვადგენ.



გრ. ურატაძე.

ბ-ნი გ. ურატაძე მხატვარისათვის ერთობ ძნელი ხელმოსაყიდვი ტიპია და ვშიშობ სინამდვილის-გან ძლიერ შორს არ ვიყო.



შ. ქარუშიძე.

ბ-ნი შალვა ქარუშიძე საქართველოში. უკვე ცონბილი მოლგაწევა, თუ სიტყვა საქართველოს წინა და უკან ეგრევ წოდებულ „ბრჭყალებს“ გაუკეთებთ. დაბალი, ჯმუხი, კურატი კაცია, საუკხოვო ხმისა და უქსტიკულიაციის პატრონი. მიუხედავათ მისი თხოვნისა: „ევრულად შეეხებოდი მის პიროვნებას“, ჩვენ იძულებული ვართ მარტო ამ მოკლე ცნობებით დავგამაყოფილდეთ. სურათის შესახებ იღვნიშვნათ მხოლოდ იმას, რომ მსგავსება

ძლიერ შორეულია, ვინაიდან წითელი ლოუები, მისი განმასხვავებელი ნიშანი, შავი ფერადით ძნელი გადმოსაცემია.



ს. დადაიანი.

ვისაც გაზეთი „ზეირთი“ უკითხავს, ან „სახალხო ფურცელი“ უთვალიერებია, ის აღმათ ხშირად მოპკრავდა თვალს ბმგაზ წარწერას: „ს. დადაიანი“. ბ-ნი სამსონ დადაიანი ჩვენს „ეროვნულ სოციალისტთა“ შორის, თევდორე ლლონტის შემდეგ; უცილობლად პირველი კაცია. ამ პატარა სურათზედაც აშერათ ეტყობა მის სახეს ენერგიული, დაუღალავი მუშავის ბეჭედი. ის, თუ არა ვცდებით, უკვე ჩავაჯრო იქმნა გაშავებული ამ გაზაფხულზე, ხოლო დღეს კიდევ ერთხელ მოისურვა გაშავება, რაიც სიამოვნებით აუსრულეს.

კრებას მოხსენება გაუკეთა საორგანიზაციო კომისიის წევრმა. ამ მოხსენებიდან ამოვიღეთ ჩვენ უმთავრესი ძარღვი იმ ლექციისა, რომელიც წერილს წინ წავუმძღვარეთ.



გოწა კანდელაგია.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ კ. კანდელაკის სუა რათის შესახებ იგივე უნდა ითქვას, რაც პატივ-ცემულ თავმჯდომარებელ მოგახსენეთ. ცნობილი კომპერატორი ცოტა წაბლისფერ თმით არის შემოსილი და შავი სალებავი ნაკლებ უდგება. კრებას წარუდგინა და მიაღებია, თუ არა ვსცდებით, სამოციოდ რეზოლუცია.




ბ-ნი რქსლანი.

მუნიციპალურ წრეებში კარგათ ცნობილი ბ-ნი როხლინი, ჩვენს სურათზე დაახლოებით არის წარმოდგენილი. თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს მხოლოდ ნედლი მასალაა, ჭეშმარიტი მოხაზულობის დასასურაობლით, რასაც ვეცდებით მომავალისათვას.


დამთ. კრების გახსნას დაესწრო არა ერთი და ორი წარმომადგენელი, რომელთაგან ჩვენ ყურადღება მივაქციოთ, რასაცირკელია უცხო მხრიდან მოსულთ. თუ ჩემს მხატვრულ სავარგისობას ბოლოში მოეთხოვება ადგილობრივ წევრთაგან, მით უშერეს უნდა ვიშუამდგომლით თანაგრძნობა და შეცოდებათა პატივება გარეშეთავან.

წარმომადგენელი მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათ კავშირისა, ფრიად ახალგაზრდა (თუ ქოსა არა) ენერგიული კაცი სჩაბნის. ის განციფრებულ აღტაცებული დარჩა, როცა დაინახა, რომ ჩვენ ქვეყანაში არც ისეთი უდაბნო ყოფილა, როგორაც



ბ-ნი ბ. შატრაბი.

წარმოდგენილი აქვთ მოსკოვში. ამ სიტყვებშა კინიღამ ცრემლი მომგვარა თვალებზე და თუ საჯაროთ არ ავტირდი მიზეზი სირცხვილი იყო. (ამ ვიტყვი მხოლოდ ვის მაგიერ შემრცხვა).



ბ-ნი რ. ებენიშვილი.

მოსკოვის საერო ბანკის წარმომადგენელი ბ-ნი რ. ფ. რენინგიც დიდი აღტაცებით შეეგება კავშირის მოვლინებას და აღუთქვა დახმარება, რამდენათაც ეს მოსახერხებელი იქმნება. ჩვენს სურათზე ბ-ნი რენინგი იმ დროს არის გადაღებული, როცა კრება თვითმართველობის აყროლებულ ეზოში სურათის გადასაღებათ შერეექს.

მოხსენება ერთობ გამიჭინულდა, მაგრამ არ შემიძლია რამოდენიმე ორატორს არ შევეხო და მათი დაალოვებითი სურათი საზოგადოებას დავუ-

მალო. პირველ ყოვლისა თქვენი ჩურადღება მსურს მივაპყრო ცნობილ კონკ. მოღმწესა და მწერალს ბ-ნ იასონ გაბილაიას.



ქორქერატორი იასონ შიგაბიჭაძა.

ახალგაზრდა, უკვე დამსახურებულ მუშაქს, ჯერაც ენერგიისა და საქმიანობის უტყუარი ნიშნები ეტყობა. მისი სახეც სწორედ იძგარი დასკვნის სარკეა. ზეპირათ იცის ყველა კონაქრატიული კრებების რეზოლუციები და აგრეთვე ყოველი წერილი მის მიერ ადესმე შესახებ კოოპერაციისა დაწერილი.

ორატორი ბ-ნი ბოლქვაძე განსაკუთრებული ყურადღების ღირსია იმ მხრივ, რომ მსჯელობას ოდნავ პრდალებული უსმენდა და თუ მარცხი არ შეემთხვევა, ეს საცხებით ბუზების არ ყოლის უნდა მიეწეროს. საზოგადოთ უაზრო სიტყვების სიძუნწებს მას ვერა შემოხვევაში ვერ შევსწორებთ. სამწუხაროთ ყური ბ-ნ ბოლქვაძეს უალაგო ალაგის დაურჩა გაკეთებული, თუმცა ამას მნიშვნელობა არა აქვს.



ბ-ნი ძიძური.

ს, მთხოვი, ერთობ ბელიერ სოფლად შეიძლება ჩაითვალოს. მისი წარმომადგენელი ბ-ნი ძიძური ერთობ უმანკო კაცი უნდა იჩის. ეს სახეზედაც ეტყობა მას, მაგრამ განსაკუთრებით ჩვენთვის ეს ღირსება მისი გამოაშარავდა საკანცილატო სის წაკითხვის დროს. მან სამი კაცის სახელ გვარი ამოიკითხა და მხოლოდ ექვსი შეცდომა დაუშო: როდესაც თავშეცდომარე შეეკითხა მისი კანდიდატი „ლლონტის“ სახელს, ბ-ნი ძიძური საშინლად გაწილდა და უმანკო გაუბეჭდობით წარმოსთვევა ცნობილი სახელი „ოელორე“. მე დიდი მომზრევა ვარ დისცილინის, ბ-ნი ძიძურიც მოვალე იყო ღინიშვნული სახელი და გვარი წარმოეთქვა, რაგინდ სასირცხოც არ ყოფილიყო.



გარბეჭანშეიღვი.

ცნობილი აგრონომ-კონკრეტორი და საზოგადო მოღვაწე ბ-ნი კარბელაშვილი სამურ გაფლენას ახდენს მსმენელზე, თუ იგი ძილის ხასიათზეა. საზოგადოთ ეტყობა ამ საქმის სიყვარული.



ბ-ნი ს. ბოლქვაძე.


სჩანს ჯერ კიდევ არ გადაგვარებულა ქართველი სამღელოება, მაგრა იკონაშეიღვილი ამისი უტყუარი ფაქტია. კრებაზე დამსწრეს არ შეეძლო მისთვის ყურადღება არ მიექცია და მეც სწორეთ ამ მხრივ ვათავსებ მის სურათს, რომელიც ძლიერ შორეულ მსგავსებას წარმოადგენს. რემს დროს ორჯერ ილაპარაკა და ორვეჯერ მაფიქრებია: — ნეტავი მუნჯი იყოს მეთქი — უცებ არ მომაგონდა, რომ მუნჯ



შოთ. იაკიბაშვილი.

მღვდელს შტატს არავინ მისცემს და ჩემი ნატვრით
მე მისთვის მხოლოდ სიკეთე მსურდა.

ორატორთა სიის დამთავრების შემდეგ ჩვენ
მოვიხსნიებთ ორ მუშაქს, რომელთაც კრებაზე არ
ულაპარაკია, მაგრამ მაინც არჩეულ იქმნენ.



დავით გამჭავე.

„ალორძინების“ გამგე დავით კახელაძე, ავტო-
რიტერების აზრით ამ სურათზე ცოტა მომღიმარი
გამომეტყველებით არის აღმეცდილი. ის არჩეულ
იქმნა ჩავშირის ერთ-ერთ გამგეთ.



სიმონ ცხომელიძე.

მე რომ არ გავაგრძელო ლაპარაკი, თვით
სურათი ჰატივცემული ს. ცხომელიძისა აშკარათ
მოწმობს, თუ რაგაარ ენერგიულ ცოცხალ ინდივი-
დუან გვაქვს საქმე. თოთონ თრიგინალმა პროტესტი
განაცხადა ამ სურათზე მხოლოდ კისრის სიგრძის
შესახებ, მაგრამ ჯერ-ჯერობით დამოკლება ვერ მო-
ვახერხდეთ.

დასაწყისში ბოლიში მოვიხადე იმათ წინაშე,
ვისი სურათიც იხატება. ახლა ნება მიბოძეთ ვიბო-
დიშო იმათ წინაშე, ვისი გადალებაც მე ვერ მო-
ვასწარი. ამით რასაკვარველია არა მსურს მათი
ლირსების დამცირება და საზოგადო საქმისადმი
გულგრილობის მიკუთვნება. იმედია მაპატიებენ.

ეშმაკი.

მესტერული

გარგა ხინია სტვირისთვის
ხელი არ მამიკიდა.

ვაი თუ ჩრჩილმა შესჭამოს,

გუდა კუთხეში ჰეილი.

სტვირი აგდია საცალა

ზედ ჯაჭვებ დანაკიდია

შევკონ ურთად გავმართო

თუმცა საშრომი დილია.

გავბერო, დავაზუზუნონ,

არ ვარგა ზოგჯერ რილია,

თორებ გამრავლდენ, რომელთაც

ნამუსი გაუყიდია.

მიუღილინებ იქ, საცა

შაქარი გასაყიდია,

ენახო რასა იქმს გამყიდი,
ის მათრახ ასაკიდია,
მორჩა, თუ არა თამაში:
ბავშური ძერა-დიდია *)
ვფგონებ უდრიოთ ჩატყდება
ეს უთავ-ბოლო ხიდია.

წაველ პუშკინის ქუჩისკენ
ჩემი სტეირით და გულითა,
ჩავდექ საშექრის კარებში
უჩინ-ზაჩინის ქუდითა.
კარი ჯერ დაკედილია,
ხომ ვერ გაალებ სულითა
მყიდველნი მწყობრად ელიან,
მათრახი მოჭმობს კუდითა.

ძველ სამღვდლო შეოლის თავიდან
ბაზრისა ბოლოს სწვდებიან,
შაქრით სავაჭროს კარების
გაღებას ემუქრებიან.
ბევრი ლოდნით ზოგ-ზოგნი
თითქმის მუხლებში სწყდებიან,
სუსტნი და მოხუცებულნი
იქვე მიწაზედ სხდებიან.

აგერ, გაიღო კარები,
უცებ დასძახეს: — შედიო!
მაგრამ შიგნიდან ყვირიან;
— დაიცეთ „ოჩერედიო“.
ვისმინე, ვიღაც ტირილით
ჰელდებდა: ვაშე დედიო,
ჯიბიდან ფული მომპარეს,
დასწყევლოს ჩემი ბედიო.

ეს აქა სტირის და სხვები
შაქრისა ყიდვას სცდილობენ,
„ოჩერედს“ აღარ აცლიან
ერთი-მეორეს სცილობენ.

აქ ჯიბგირების რთველია
ხალხის ჯიბებს ხილობენ,
მცხოვრებთა ამა ტანჯვისთვის
მამათა ჯავრთა ყრილობენ.

ესრუ ჸეილიან უპრავის
შაქარს, ამ რიგით, წესითა...
ასს თუ მის ცემენ, სამასს სხვას
ალოდინებენ კენებითა...
დილით დაქანცულს, სალამოს
გრანჯავენ უარესითა,

*) ძერა-დიდია, ერთგვარი საბავშვო თამაშობა.

მაშ ვის მიმართავ, მკითხველო,
რომ ვერ იშოვნი ვერსითა.

მიკვირს, ეშმაკი რათა სდუმს,
რათ არ მოხედავს ამ ხალხსა,
რათ არ მოახმარს ღირსეულთ
კურთხეულ დაწნულ მათრახსა,
რათ არ მოჰკითხავს მის გამგეს
შეუძრალებელ ახმახსა*)
მათრახით რათ არ უსწორებს
მოშლილი ტვინის ჩახმახსა.

ა. ყარაჩოხალი.

მოხსენება ხონიდან.

V

— ნუ თუ ეგ შენა ხარ, აპო?!.. გაკვირვებული შემექითხა ერთი ჩემი ნაცნობი ახალგაზრდა შავგრევანი ქალი და მომაცემერდა.

— „რას მისქერი იგრე გაკვირვებითა?“ კითხვითვე ვუპასუხ კითხვაზე და თვალნი ჩემნი გაუყარებ თვალთა მისთა.

— მე კი შენ ახლა მეგონე ხონის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წლიურ კრებაზე. როგორ მოგივიდა, რომ ასეთი საინტერესო კრება გამოიგიტოვებია? მე ვეიქრობ მისი უეშავეულესობა არ მოგიწონებს ასეთ დაუდევრობას.

— ნუ თუ დღეს არის ეგ კრება?.. ეშმაკო ჩემო!.. როგორ გამომარყია!.. შეწუხებული მოვიკვნეს და, საჩეროთ დავემშვიდობე რა ჩემს მოსაუბრე კოპწია ვოგონას, გავსწიე საზოგადოების სასახლისაკენ. ფრთხილად შევაღე კარები და შეუმწინევლათ შევცოცლი.

— გუგუზუ... გუგუზუ... ეპვეთა სმენასა ჩემსა შესვლისთანვე: მიმავიჯედე, გადავიხედე. დარბასილობით აღსავსე კრებას თიტჯლომარეთ დაუსვამს ბახტაძე ანდრო, მის გვერდით იაკობი მდივანათ ჯდომილი; იქვე არიან შმართველი ბანკის, დირექტორი მოლარე და ბუდალტერიც. კრება გრძელდება.

თავმჯდომარე წამოლგა, მიმოიხედა.

*) ახმახი თათრული სიტყვაა და აღნიშნავს ისეთ ღირსებას აღამიანისას, როცა ეს უკანასკნელი გეუასთან მტრულ განწყობილებაშია.

ა. ყარ.

— ბატონებო!.. ფრიად საყურადღებო მოხსენება; ცოტა ხნით შევსწყვიტოთ კრება, მოვისვენოთ ამდენი ხნის მძიმე ბჭობისგან და შემდეგ განვახლოთ სხდომა ამა მოხსენების მოსასმენათ...

— არა, არ გვინდა... ახლავ მოვისმინოთ... სულაც ნუ მოვისმენთ... კი გვინდა... არ გვინდა... ისმის ზუზუნი ყოველ მხრიდან.

— მაშ ახლავ მოვისმინოთ, შეუსვენებლათ, ისევ მიმართავს თავმჯდომარე კრებას.

— მოვისმინოთ, მოვისმინოთ!..

წინ დამოდგება ქმედიანე, მოხსენება და ბლომათ საბუთების ქალალდები თანა. აქვს.

— ბატონებო! ჩვენ, ე. ი. სარევიზიო კომისიას წინანდელმა საზოგადო კრებამ დაგვავალი შეგვემოწმებია ამხანაგობის შენობის * ხარჯები და ჩვენი დასკვნა მოვალეობის შენობია. მაშ მოვალე ბრძანდებით მოვისმინოთ. ჩვენ შეუდევქით დავალებულ საქმეს, მაგრამ... ვაი ასეთ საქმის შედგომას!.. საჭირო ქალალდებსა და საბუთებს ვეღარ ველირსეთ. დიდის ვაი ვაგლახით გამოვარკვიეთ, რომ შენობას მონდომებია 800 ურები სილა და ქვიშა. არითმეტიკული ანგარიშის საშუალებით, ვინც ეს უკანასკნელი კი იცის, დარწმუნდება, რომ ამდენი სილა და ქვიშა გააშენებს 7 და შეიძლება 8 სართულიან სახლს, ჩვენ კი მხოლოთ ორ სართულიანი აგვიშენებს. ჩვენი აზრით საჭიროა მოვიწვიოთ სპეციალისტი ინჟინერი და მას შევამოწმებით. აქვე უნდა იღვნიშნო, რომ ერთი წევრი სამშენებლო კომისიისა იმავე დროს იყო „პოდრიად-ჩიკიც“ სილა-ქვიშისა. ბ-ნი ქმედიანე მტკიცე კი ლოთი განაგრძობდა თავის მოხსენებას და მოყავდა მოსაზრებანი კომისიისა.

როს გაათავა, ატყდა ჩოქოლი. პასუხს იძლევა მართველი ბანკისა.

— იქა მაქვს საბუთები... რა საჭიროა ინჟინერი... თუ გნებავთ მოვიწვიოთ, მხოლოთ ხარჯათ უნდება 363 მანეთი.

— არ გვინდა, არა!.. არა... არა!..

— ბატონებო, სიტყვა მე შეკუთვნის, — გუგუნებს ნიკიფორ ჩხენკელი: ჩვენ ვერ გავიგებთ, ე. ი. ვერ ვიანგარიშებთ, რომ დეიხარჯა, რა დეიხარჯა; შენობა აშენდა, ჩემგანაც წაიღს ხე-ტყის მასალა, იქ ხელმოწერილია... ჩვენ არ გვინდა არაფერი მოხსენება, ვენდობით სამშენებლო კომისიას, მან აშენა, ახლა მადლობა უთხრათ.

— ვუთხრათ, ვუთხრათ, მადლობის ლირსია.

— ბატონი ემელიანე და სარევიზიო კომისიის დანარჩენი წევრები განცვიფრებული დასკერიან აბობოქრებულ კრებას.

წამოდგა ვიღაც მასწავლებელი პირველი რიგში რომ იჯდო სწორეთ. — სუ, სუ!.. გაისმა აქაიქ, — მოუსმინოთ აბა რას იტყვის.

მხედველობა ჩემი მიღაპყარ მას. ის დინჯათ იდგა. ტან-ესერ ჩამსხვილებულს ფართო პირის სახე ფილოსოფოსისას უკავდა, ჯერ დარბაისლურის სიღინჯით გადახედა კრებას და შემდეგ დაიწყო.

— ბატონებო!.. ეჭვი არ არის, რომ სამშენებლო კომისიას ბევრი შრომა და ენერგია დაუხარჯავს. იგი სწორეთ მადლობის ლირსია. მადლობის ლირსია აგრეთვე სარევიზიო კომისიაც; როგორც სხანს მასაც ბევრი უშრომია. ორივეს მადლობა გამოუცხადოთ...

— ბრავო, ბრავო!.. დიდებულით სთქა... ორივეს მადლობა, ორივეს, გაისმა ზალაში.

— ტყულით კი არ მიუგავს ფილოსოფოსს სახე თქო, გავიფიქრე მეც გულში და მისი ვინაოუბა ვიკითხე დიდის მოკრძალებითა და ცნობის მოყვარეობით.

— სირცეცილი თქენი, ვიღაცა ხართ, — ნაწყენი მიბასუხა ვისაც შევეკითხე: ნუ თუ მაგას არ იცნობთ?.. მაშულიშვილთა თველი და იმედი გახლავთ — გარლამი არის, გვარათ ძიძიგური. ნასწავლკაცს ჰეგებართ და მაგას არ იცნობთ? პულლიცისტია და თან პოტიც, „ნიშალურმიაც“ თანამშრომლობდა. საზოგადო მოღვაწე არის. ძალიან უყვარს დიდკაცებათ, განსაკუთრებით უფროსებათან ფართნა, მხოლოდ მათთან შესვლა ეხერხება ცერებზე და ფეხ-აკრეფით...

— მოიცათ, მოიცათ, — შევაჩერე ჩემი მოსაუბრე: ეგ ის ძიძიგური ხომ არ არის, რომელ-ზედაც ამას წინეთ „სამშობლოში“ სწერდა ვიღაც ხონელი მასწავლებელი?

— სწორეთ, სწორეთ ის გახლივე... მერე რა კარგად უპასუხა?!. მართალია ავიღე ხუთი პროცენტი დაშეუულთათვეს დასარიგებლათ სასურათო თანხიდან გამოტანილ ფულიდან, მაგრამ აღებული ფული სრულიათ დაშეუულთა საქმეზე დაიხარჯათ; ზოგი მწერალს მივეცი სახარჯოთ, ზოგი მამასახლის, ზოგი ჩაფარს, ზოგი კიდევ ქუ-

თათურ და ხონელ მექტლეებსო; ბოლოს რაღაც ორი გროში გადარჩა და ის მე მომინდა სასტუმროსა და სხვა ხარჯებში, და ნუ თუ ეგ „არამათ“ ჩამეთვლებაო. სწორეთ მშვენიერათ უპასუხა, მხოლოდ ცოტა შეცდომა მოუვიდა შეერთება-გმოკლებაში, მაგრამ ეგ არაფერია, ცოდვათ ვერ ჩაუთვლით. ამის გარდა მათხოჯში მაგი პირველი კაცია. მაგი ხხებათა შორის, მათხოჯის მომზარებელთა ამხანაგობის თავმჯდომარეა: მართალია მათხოჯში მაგი იშვიათა არის, მაგრამ ამხანაგობას ჯერ ცაგერიდან თავმჯდომარეობდა, ახლა კი ხონიდან თავმჯდომარეობს.

— სწორეთ რომ იშვიათი კაცი ბრძანებულა, დავემოწმე მეც.

ამ დროს გაისმა თავმჯდომარის ხეთა:

— ბატონებო! კრება დასრულებულია, კრებას ვხურავ. მობრძანდით და ალბეჭდეთ ოქვენ თქვენი სახელი და გვარები ოქმების წიგნში.

— მადლობა ლმერთს!.. გაისმა იქა-იქ.

— მადლობა ეშმაკს, რომ გადავრჩი ამ კრებაზე ყოფნას, დაუმატე მეც და გამოესწი.

თქვენი უეშმაკებულესობის მოადგილე ხონში აბი.

სახალხო ცეკვი.

ოთხშაბათს, 1 ივნისს 1916 წ.

ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე სახელ განთქმული პიესა ბერნულინისა.

ურარეს სისხლი

აგნესას როლს შეასრულებს ჭ-ნი ნ. დავითაშვილი. ციბოს — ბ-ნი ი. ზარდალიშვილი.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი 8 ნახ. საათზე.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

უმორჩილესად გთხოვთ!


ეჭვილას, ვისაც კი რაიმე კავშირი აქვს რომელიმე საზოგადო დაწესებულებასთან

დაუყოვნებლივ გვაცნობონ რო არჩივნებისა,

რათა არ დაგვიგვიანდეს მოსვლა უუთის დასადგმელათ და გასაშაფებლათ.

პატივისცემით

{	სამსონ დადიანი.
}	თედორე ლლონტი.



გამოთხოვება

(თბილისის დეპა)

ის მიღის.
ხელქვეითები
ცხარე ურემლს ჰლვრიან, ჰგოდებენ.
დაბრუნდეს იგი
წამსვლელი
მეუფეს მოუწოდებენ.
— მამაო ჩვენო,
შენ გვედრით
მწუხარე ურემლთა დენითო,
ნუ მოგვაშორებ
მფარველსა
ობლათ ნუ შევიქენითო,
მოხედე ჩვენსა
გასაჭირს,
ჩვენსა მუდარას თხოვნასო,

თუ ეს ბატონი
დავაძრგვთ
ახლის ვერ შევძლებთ პოვნასო.
უფალს არ ესმის
ლალადი;

გმგე კი სტირის ყოფილი
მიდის და თვალი
აქ რჩება
სად მრავლად რჩება ძმობილი.
ჰყენიან
ორთქლმავალები
გლოვის ზარს რეკენ გრძემლები
ის მიღის.
ობლათ დარჩენილთ
მდუღარე დასდით ურემლები.

—..